[illegible]

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 361 1918 წ. შაბათი. ოქტომბრის 19. № 361

ბაქოდან მოსულ ცნობით კისლავოდსკში დაუხვრეტნიათ სტ. შაუმიანი და პ. ჯაფარიძე. საფრანგეთმა ფილანდიასთან დიპლომატიური ურთიერთობა შესწყვიტა. გერმანიაში შესცვალეს კონსტიტუციის ერთი მუხლთაგანი ისე, რომ ომის და ზავის გადაწყვეტა საკანონმდებლო დაწესებულებათა საქმე იქნეა ბალშევიკების ცნობით სტამბოლში არეულობაა.

მამა ივანე, დები: ნატო და მაშო, ძმები იოსებ და მიშა, მაზლები ფირონ და სვიმონ, რძლები სოფიო და თამარ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ სამშაბათს, ოქტომბრის 22-ს სოფ. არადეთში (გორის მაზრა) გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ფეფე ივანეს ასულის იმხნელის

სულის მოსახსენებლად. 2066

დედ-მამა ვასილ გიორგის-ძე და ეკატერინე დავითის ასული, ძმები გიორგი, ნიკოლოზ, ლევან და და ნინო ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 20-ს, წმინდა ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

დავით (დათიკო) ვასილის ძე ხახუტაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ. 2068

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მამა გიორგი, ძმა პანტელეიმონი, დები ივლიტა და თამარი, რძალი ქსენია, სიძე ნესტორ კახიანი, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას, ოქტომბრის 19-ს (ახალი სტილით) სოფ. ნოსირში, ნოსირის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში სასაფლაოზე, დანიშნულია ორმოცი დღის წირვის შემდეგ იმავე დღეს ნაშუადღევის 4 საათზე პანაშვიდი პრაპორშჩიკი

კაპიტონ გიორგის ძე თოფურიძის

სულის მოსახსენებლად, რომელიც მისი ამხანაგის მიერ შემთხვევით იქმნა მოკლული ქ. ტუაფსეში. 2068

ტფილისის საგუბერნიო ყრილობა

საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა დანიშნულია ოქტომბრის 20-ს, დილის 10 ს. ტფილისის პარტიულ კლუბში.

საგანი ყრილობისა: 1. მოხსენება საგუბ. კომიტეტისა
2. მიმდინარე საკითხები.
3. საგუბ. კომიტეტის არჩევნები.

ორგანიზაციებს ევალებათ თითო წარმომადგენლის გამოგზავნა.

1918—19 წლის საოპერო სეზონი **სახელმწიფო თეატრი** დირექცია ნ. დ. ლევიცკის

შაბათს, ოქტომბრის 19-ს, „ჟიდოვკა" ოპერა 4 მოქმ. მუს. ჰალევისა

მომქმედნი პირნი: შვამბერგი, ზელინსკისა, კანშინი, მოლჩანოვი, საბინინი, დემიანენკო, ეზროვი.

დირიჟორი სტოლერმანი. დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: კვირას ოქტომბრის 20-ს დილით „ფაუსტი", საღამოთი „რიგოლეტტო", 21-ს „აიდა". 1311

პ. ი. ზუბალაშვილის სახ. სახ. სახლი

სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრე.

კვირას, ოქტომბრის 20-ს, 1918 წ.

წარმოდგენილი იქნება:

ნამუსისათვის

დრამა 4 მოქმ. შირვანზადესი, თარგ. ყ. კ—ნის მიერ.

მონაწილეობენ: ქ.ქ. ანკარა, თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ჭიაურელი, ბ.ბ. გოცირიძე, გონაძე, დ. ბაქრაძე, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ა. თავდგირიძე, ამბ. ივერელი.

რეჟისორი ნ. გოცირიძე. რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

ადგილების ფასი 3 მ. 50 კ—დე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

2067 სახ. სახ. წარმ. ადმინისტრაცია

ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 19-ს გაიმართება

რადიონ ყუბანელის

უკანასკნელი გასტროლები. მონაწილეობენ აგრეთვე „სამი ეშმაკი", ზინკოვსკები და მთელი დასი.

ანონსი: „მოლის ცნობილი ფლერენსი".

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2062

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, ოქტომბრის 21-ს, შუადღის 12 ს. გამგეობის თანადასწრებით მოხდება

შეჯიბრებითი ვაჭრობა

იჯარით არის გასაცემი ქალაქის სახლი, ტფილისში, მე-9 უბანში, რეუტოვის ქ. № 15. პირობების გაგება შეიძლება ქალ. გამგეობის კანცელიარიის საიჯარო საადგილ-მამულო ნაწილში. 1370

განცხადება

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაიწყება ოქტომბრის 15-ს (ქართულ ენაზე).

ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება:

1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართ. ენა და ლიტერ., საქართვ. ისტ.).
2. ბუნებისმეტყველება და მათემატიკა.

ცნობად: 1. ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლიან ყველას, ვისაც ერთ ერთი სავაჟო ან საქალებო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია.

2. ინსტიტუტის პირველ კურსზე ოცი სტიპენდიანტის ადგილია თავისუფალი.

3. თხოვნები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდიმთავრის ქუჩა № 91 (ველიკოკნიაჟ. 91). 1352

ტფილისი, ოქტომბრის 19.

აფხაზეთის ამბების გამო.

აფხაზეთის საკითხი თავის თავად, როგორც ერის, მისი უმრავლესობის საკითხი თითქმის არ არსებობს. იქ იმდენად დაცულია ჯერ კიდევ პატრიარქალური და ფეოდალური ურთიერთობა გლეხთა და თავად-აზნაურობის შორის, რომ პირველი უკანასკნელის დიდ გავლენის ქვეშ იმყოფება. ამიტომ არის, რომ თითო-ოროლა ადამიანის ავანტიურა იქ ყოველთვის პოულობს გამოხმაურებას და მედგარი შინაური ძალა არ არსებობს, რომ შერვაშიძეების და ჩხოტუების ავანტიურას რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს.

ამ უკანასკნელ ხანს რაც მოხდა აფხაზეთში, ნაყოფია იმ გზა აბნეულობისა, რომელსაც იჩენს აფხაზეთის თავად-აზნაურობა ამ რთულ მომენტში. იგი, რასაკვირველია, უკმაყოფილოა დემოკრატიულ რესპუბლიკისა და განსაკუთრებით მიწის რეფორმისა, რომელიც მუქთახორულ ცხოვრების ნებას აღარ მისცემს. ამიტომ არის, რომ იგი მუდამ გარედ იყურება მგელივით. ამიტომ იყო, რომ ჯერ ცნობილ შერვაშიძის მეთაურობით შემოვიდა ოსმალოების რაზმი აფხაზეთის ‚‚დასამშვიდებლად'', შემდეგ კი გენერალ ალექსეევთან დაიჭირეს კავშირი იქაურმა რეაქციონერებმა. ფართო მასსა აფხაზებისა, რასაკვირველია, ამაში დამნაშავე არაა. იგი იმდენად აჰყვება ამისთანა ავანტიურას, რამდენადაც შეუგნებელია და თავად-აზნაურობის გავლენას ჯერ კიდევ განიცდის. ეხლა კი უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის რეაქციონერების მოქმედება ღალატია არა მარტო აფხაზეთის დემოკრატიისა, არამედ მთლად საქართველოს რესპუბლიკისა. და ამიტომ მათ ისე უნდა მოვექცეთ, რანაირადაც ექცევიან მოღალატეებს.

მაგრამ არის ერთი მხარე საკითხისა, რომელსაც ყოველთვის ივიწყებენ აფხაზთა რეაქციონერები. ეს ის გარემოება გახლავთ, რომ სოხუმის ოლქი ძლიერ აჭრელებულია ეთნოგრაფიულად. სხვა ეროვნებანი (სომხები, ბერძნები, პოლონელები, ლიტველები), რომ არ მივიღოთ მხედველობაში — თვით აფხაზებზე მეტია სოხუმის ოლქში ქართველობა (მეგრელები). ქართველობა იქ ხელიხელ ჩაკიდებული მიდის აფხაზთა იმ ელემენტებთან, რომელთაც კლასიური ვიწრო მიზნები კი არ დაუსახავთ, არამედ მხედველობაში აქვთ ფართო მასსის, დემოკრატიის ინტერესი. ხოლო ჭეშმარიტად გაგებული ინტერესები ხალხისა, უეჭველია, მოითხოვს საქართველოს ფარგლებში დარჩენას და არა ველურ ოსმალეთის, ან შავი რეაქციის მოციქულ ალექსეევის ჯარის ხელში ჩავარდნას. საქართველოში აფხაზეთს ენიჭება გარდა იმ საერთო თავისუფლებისა, რომლითაც სარგებლობს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, თვითმართველობა, რითაც უზრუნველყოფილია ამ ხალხის კულტურული და ეკონომიური განვითარება. ამიტომაა სწორედ, რომ აფხაზეთის ჭეშმარიტი მამულიშვილნი მუდამ ჩვენთან არიან და შეგნებული გლეხობაც დემოკრატიული რესპუბლიკის ერთგულია.

აფხაზეთის რეაქციონერების ბნელი ზრახვები თვით აფხაზებისავე მოწინავე პირებში ჰპოვებს პროტესტს და წინააღმდეგობას. მით უმეტეს, რომ მათი საქციელი გარდა იმისა, რომ რეაქციას უხმობს — ერებს შორისაც უთანხმოებასა და შურსა ჰბადებს. მეგრელები, რომელნიც მცხოვრებთა თითქმის 40 პროცენტს შეადგენენ — დიდად აღელვებულნი იყვნენ და უკმაყოფილონიც თავის დროზე იმის გამო, რომ მათდაუკითხავად, სრულიად მათს გარეშე აფხაზეთის ზოგიერთმა წრეებმა კავშირი შეჰკრეს ჩრდილოეთ კავკასიასთან. ამიტომ ეროვნებათა დაახლოებისათვის, დემოკრატიულ ფრონტის განმტკიცებისათვის საჭირო იყო შექმნა ისეთი ორგანოსი, რომელიც წარმომადგენელი იქნებოდა სოხუმის ოლქის ყველა მცხოვრებლებისა. ასეთი ორგანიზაციის სურროგატი უკვე არსებობს და ამიტომ მისი გამაგრება და ჩვენს რესპუბლიკასთან დაახლოებაა საჭირო. გენ. ალექსეევი საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელ ევგ. გეგეჭკორთან მოლაპარაკების დროს აღნიშნავდა გაკვრით, რომ აფხაზეთს რუსეთთან შეერთება უნდა. ეს ტყუილია. რა ხეირი და სიკეთე ახსოვს რუსეთისაგან აფხაზეთის ხალხს, რომ მისი კალთები ინატროს. მარტოოდენ მუჰაჯირების მოგონება კმარა ამ აზრის უარსაყოფად. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენს მთავრობას უდიდესი სიფრთხილე და სიფხიზლე ჰმართებს, რათა ძირიანფესვიანად ამოგდებულ იქმნას იქ ყოველგვარი ავანტიურა. ეს საუკეთესო იქნება როგორც საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობისათვის, ისე თვით აფხაზეთის ხალხის დემოკრატიის ინტერესებისათვის, რომლის ჭეშმარიტი წარმომადგენელნი ჩვენთან არიან და ჩვენთანვე დარჩებიან.

ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა" ეხება მიწის ღალას და თხოულობს, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ გლეხობამ რაიმე იხადოს მემამულეებს შეუძლიანთ იურიდიულად მოითხოვონ მხოლოდ იმ ნორმის მიწების გადასახადი, რომელიც მათ დარჩათო შემდეგ გაზეთი სამართლიანად დასძენს:

> მაგრამ ამ გარდამავალ ხანაში შეუძლებელია მარტოოდენ ძველ იურიდიულ ნორმებით ხელმძღვანელობა. ღალები — ეს ისტორიულ უსამართლობის ბატონყმურ ურთიერთობის ნაშთია. გლეხს ათასჯერ გადახდილი აქვს ღალის სახით მიწის ფასი, რადგან მემამულეს გარდა ცარიელ უფლებისა, იოტის ოდენი წილი არ შეუტანია მეურნეობაში. გლეხი ქმნიდა, ავათ იყო თუ კარგათ, ყოველგვარ ღირებულებას მეურნეობაში, მემამულე კი, თითო ოროლა გამონაკლის გარდა, ამ ღირებულების ნაწილს მუქთად ითვისებდა.
>
> ამიტომ ახლა დროა, ეს უსამართლობა მოისპოს და მემამულეს აეკრძალოს გასულ წლების ღალის აღება, ეს მით უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ წვრილ და ცოტათ თუ ბევრათ რიგიან მემამულეებს გლეხებმა უკვე მისცეს ღალა და დღეს მიუღებელი აქვთ უმეტესათ იმათ, რომელნიც თავისი მავნე მოქმედების გამო სოფლებიდან გამოუგდიათ და სახლში დაბრუნებას ვერც კი ბედავენ
>
> გარდა ამისა ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ გლეხობის სულიერი განწყობილება. ღალის გადახდის მოგონება მათში სამართლიან აღშფოთებას იწვევს, ღალა გლეხს აგონებს ბატონყმურ ნაშთების არსებობას და ახალ წყობილებაზე გულს უცრუებს.
>
> ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის პარლამენტმა საჩქაროდ უნდა დაამუშაოს და მიიღოს კანონი, რომელიც საბოლოოდ მოახდენს ძველი წყობილების ლიკვიდაციას. ჩვენ გვფიქრობთ, რომ პარლამენტის სოციალისტურ ფრაქციათაგან არც ერთი არ წავა ასეთ კანონის წინააღმდეგ
>
> ეს კანონი ერთხელ და სამუდამოთ მოსპობს იმ გაუთავებელ აურზაურს, რომელიც დღეს ღალების მოკრეფის ნიადაგზე ხდება და აღშფოთებულ გლეხობას ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებს. აღნიშნული კანონი ყოფილ მემამულეებსაც დიდს სარგებლობას მოუტანს მით რომ საბოლოოდ გაუქრობს მუქთად ცხოვრებაზე ოცნებას და სასარგებლო შრომისათვის მოაკიდებინებს ხელს.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. 10—17. კრონ-პრინც რუპრეხტის ლაშქარი. ჩვენ დავიხიეთ ტორხუტ-კოოლსკამ-ინცელბიუნსტერის ხაზის აღმოსავლეთით და აგრედვე ლისის აქეთ. მტერი დაგვედევნა და ჩვენს ახალ პოზიციებს მოუახლოვდა. კოოლსკამის ორივე მხრით მტერმა დიდი ძალებით მოიტანა იერიში. მტერმა იერიში მოიტანა აგრედვე ლისის ფრონტზე კორტრიკა და გენემთან იგი ყველგან მოვიგერიეთ. გუშინ მტერი დაგვედევნა ჩვენი ახალ ფრონტის გასწვრივ ლილლსა და დუეს შუა. კაპინგენ-ალენ-ლეიმარეკარვენ-ვინიეს ხაზამდე. სელლის სექტორში მტერი შემოიჭრა ხოსის ხაზში. ინგლისის არტილერია ქალ. დენენს ცეცხლში ახვევს.

გერმანელ კრონ-პრინცის ლაშქარი

მდ. ენის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა. ფრანგების იერიშები ორონის ჩრდილოეთით მოვიგერიეთ. ენსა და ეირზე ფრანგების იერიშები გრან-პრეს დასავლეთით დავამარცხეთ.

ჟალვიცის ლაშქარი. ეირის აღმოსავლეთით მოვიგერიეთ ამერიკელთა იერიშები. უნაყოფოდ ჩატარდა აგრედვე მტრის იერიშები მაასის აღმოსავლეთ ნაპირას.

ბერლინი. 10—17. საღამოს ცნობა. მტერმა შეტევა დაიწყო ლე-კატოსა და უაზას შუა, 36 კილომეტრის ფრონტზე. მტერი სცდილობდა ფრონტი გაერღვია, ცდა უნაყოფო იყო.

ლიონი. 10—16 (ფრანგების რადიო). საომარი ოპერაციები: ინგლისელბელგიელთა შეტევა მეფე ალბერტის მეთაურობით ბრწყინვალედ გრძელდება. [illegible] ფრონტზე 5—6 კილომეტრის სიღრმეზე შეიჭრნენ. ბელგიის ჯარი ტურუტს მიუახლოვდა. სამხრეთით ფრანგებმა გადალახეს რკინის გზა, ლიხტერფელლიდან რულერზე რომ მიდის. ინგლისელებმა მესენი აიღეს...... (გამოტოვებულია) ოთხშაბათს ბრიტანიის ჯარი ლილლს ოთხი კილომეტრით იყო დაშორებული. ლილლსა და დუეს შუა პონტ-ავენდანთან ბრიტანიის ჯარმა გადალახა ხოტ-დეიელის არხი. უაზსა და ენს შუა ფრანგების ჯარმა კვლავ გაიმარჯვა.

გერმანიის პრესა 15 ოქტ. იმის შიშით, რომ ქ. ვალენსიენსაც მალე დაუშენენ ყუმბარებს და 30,000 მშვიდობიანი მცხოვრების შეჩერება, რომელნიც აღმოსავლეთით გარბიან, შეუძლებელი ხდება, გერმანიის მთავრობამ ხელმეორედ მიმართა შვეიცარიას, რათა მან გააცნოს საფრანგეთის მთავრობას საქმის მდგომარეობა და სთხოვოს ჩრდილოეთ საფრანგეთის მშვიდობიან მცხოვრებთა ინტერესებისათვის ხელი აიღონ დიდი ქალაქების განადგურებაზე და თავისი მოკავშირენიც დაითანხმონ ამაზე. გერმანიის მთავრობა თანახმაა ნება დართოს მცხოვრებთა ნაწილს გადავიდნენ ფრონტის ხაზიდან საფრანგეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ფრონტების ერთი მეორესთან შეთანხმებით. იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთის მთავრობა არ დასთანხმდება გერმანიის წინადადებას, გერმანიის მთავრობა არ იკისრებს იმ უბედურ შემთხვევათა პასუხისმგებლობას, რომელიც თავს დაატყდება აღნიშნულ ქალაქთა მცხოვრებთ „განმანთავისუფლებელთა" ყუმბარებისაგან.

ბალკანეთის ფრონტი.

ვენა 10—17. ალბანიაში, ტირონის ჩრდილოეთით ბრძოლაა.

სერბიელები წინ მიიწევენ. იმათ დასავლეთ ბოროვოს მიაღწიეს. ჩვენ მოვიგერიეთ იერიშები კრუზევაკის აღმოსავლეთით.

ბერლინი 10—17. ჩვენ ახალ ფრონტზე იაგოდინსა და ნიშს შუა მტერმა მიაღწია დასავლეთ მორავას, კრუზევაკსა და ალექსინოვს.

ლტოლვილები

ამსტერდამი, ადგილობრივი გაზეთების ცნობით ჰოლანდიას 100.000 ლტოლვილს მოელიან ბელგიიდან.

გერმანული პრესა უარყოფს იმ ცნობებს, რომლებიც საფრანგეთის და ინგლისის ავრცელებენ: გერმანელები ყველგან სწვავენ და ანადგურებენო.

ზავის გარშემო

გერმანიის პრესა. „ტაგებლატი" განიხილავს ვილსონის ნოტას და ამბობს რომ ბისმარკი ჯერ კიდევ 1870 წელს საფრანგეთის დამარცხების დროს განიხილავდა საკითხს [illegible] (გამოტოვებული) დავლის შესახებ. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს გერმანიის კონსტიტუციის ცვლილების მნიშვნელობას ამერიკის ნოტის შემდეგ. ირკვევა, რომ გერმანიაში ამ ბოლო დღეებში მრავალი რამ შეიცვალა. გუშინ კავშირთა საბჭომ მიიღო კონსტიტუციის ცვლილება. რომლის თანახმად იმპერატორის უფლება ომისა და ზავის საკითხში გადამწყვეტი უფლება ხალხის წარმომადგენლობის დამოუკიდებლად. ეს ის რეფორმაა, რომელსაც გერმანიაში დიდი ხანია ითხოვდნენ სწორედ ისე, როგორც პარლამენტარულ წყობილების შემოღება. ვილსონი მოითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენ სახელმწიფო გადატრიალება მოვახდინოთ. ამაზე ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ: „ჩვენ ეს უკვე მოვახდინეთ თვით გამორკვევის უფლებათა მიხედვით, რომელიც ჩვენ ისევე გვეკუთვნის, როგორც აღმოსავლეთის ხალხებს. ბოლოს მას, რაც გვქონდა ძალიან მივასრულეთ. მაგრამ იმ დროს, როცა ჩვენ განთავისუფლდით შინაურ მონობიდან, [illegible] უცხოური მონობის უღელი გარეშემ დაგვადგას. ვილსონის სიტყვების შემდეგ ზავი გართულდება, ნოტის ხასიათი უარესია, ვიდრე ის მოთხოვნილებანი რომელიც იქ არის. ვილსონი მოციქულია ხალხთა მეგობრობისა და განთავისუფლების, მაგრამ მის ნოტას ძალმომრეობის ხასიათი აქვს. ვილსონი ამბობს, რომ მას სურს დაუფარავი ლაპარაკი, რომ ის ყოველთვის უარყოფს დიპლომატიის ძველ მეთოდს, მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ მას ამ მეთოდების ასრულებლად, ჩვენ ვხედავთ რომ ამ ნოტასთან ერთად იზრდება მისი მოთხოვნილებაც და ზურგს უკან ხმალ აღმართული გვემუქრება. ახალი გერმანია, რომელსაც სურს სამართლიანი შერიგება ყველა ერებთან, არასდროს დაივიწყებს იმას, ვინც დიქტატორის ტონით დაიწყებს მასთან ლაპარაკს.

[illegible] დღეს, პარტიამ გაუგზავნა გერმანიის [illegible] მისალმების დეპეშა: „გერმანიის დემოკრატიის გამარჯვებას ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე სოციალისტური ინტერნაციონალის [illegible] აუცილებელ პირობად [illegible], ხანგრძლივი და საყოველთაო ზავის დასამყარებლად". (დასასრული არ არის).

როტერდამი. 16 ოქტ. პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრით, ზავის დამყარების იმედი ახლა უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე წინად. ვილსონი აძლევს დიდ პატივისცემას, რომლის მაგვარი [illegible] თუ დაუკავშირდება რომელიმე სახელმწიფო მოღვაწისათვის.

ჟენევა 16 ოქტ. ამერიკის სენატში სენატორმა უიქსმა შეიტანა წინადადება რომ ზავის მოახლოების გამო აუცილებლად საჭიროა შეიქმნას განსაკუთრებული საპარლამენტო კომიტეტი, რომელმაც უნდა იზრუნოს დემობილიზაციისათვის.

გერმანიის მთავრობაში

გერმანიის პრესა. ოქტომბრის 16 დაინიშნა რეიხსტაგის და სახალხო პროგრესიულ პარტიის წევრი, ნაფიცი ვექილი [illegible] უპორტფელო სტატს-სეკრეტარად. სოც.-დემ. მეორე წევრი დავიდი საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარის თანაშემწედ; რეიხსტაგის წევრი ცენტრის თანამგრძნობი მუშათა წარმომადგენელი გიესბერტი — შრომის უწყების სტატს-სეკრეტარის თანაშემწედ. რეიხსტაგის წევრი სოც. დემ. მუშათა წარმომადგენელი შმიდტი — [illegible] სტატს-სეკრეტარის თანაშემწედ და სოც.-დემ. პარტიის წევრი დ-რი მიულერი [illegible] უწყების სტატს-სეკრეტარის თანაშემწედ.

ბერლინის გაზეთების ცნობით პარტიები ამ ჟამად დაინტერესებული არიან საკითხით, გამოქვეყნებული იქნება თუ არა ბადენელი პრინცი იმ წერილის გამო, რომელიც იანვრის 21-ს მისწერა პრინც ალექსანდრეს.

„ბერლინერ ტაგებლატი" აფრთხილებს პარტიებს, დაუფიქრებლად არ გადაჭრან ეს საკითხი. ის სწერს: „იმ დროს, როდესაც გერმანიის ხალხმა თავის ხელში აიღო თავის ბედი, მას სწამს თავისი მომავალი განადგურების არ ეშინიან, რაც შეეხება ქვეყნის შინაგან ცხოვრებას, უნდა საბოლოოდ გამოირკვეს იქნენ პროვოკატორთა ბოროტმოქმედებანი, თუ წერილის საქმე საზავო მოლაპარაკებას შეაფერხებს, წერილის დამწერი უნდა გადადგეს თუ აღმოჩნდება, რომ ის არ სცნობს წარსულის შეცდომებს, ის უნდა გადადგეს. „ფორვერტს" იუწყება, რომ სტატს-სეკრეტრები ს.-დ. შეიდემანი და ბაუერი ამის შესახებ გამოსთქვამენ თავის აზრს რეიხსტაგის ს.-დ. ფრაქციის დადგენილების შემდეგ.

გერმანიის კონსტიტუცია.

(გერმანიის რადიო, 10—17)

სავაჭრო საბჭომ გუშინ მოიწონა კანონპროექტი, რომელსაც ცვლილება შეაქვს იმპერიის კონსტიტუციის მე-11 სტატიაში. მეორე მუხლი ამ სტატიისა იცვლება ამ გვარად, რომ იმპერიის სახელით ომის გამოცხადებისათვის საჭიროა საკავშირო საბჭო და რეიხსტაგის თანხმობით; ესეც იმ შემთხვევაში, თუ თავს დაესხმიან მოკავშირე ტერიტორიისა და სანაპიროებს. მე-3 მუხლი: საზავო ხელშეკრულებანი უცხო სახელმწიფოებთან უნდა დადებულ იქნეს საბჭოსა და რეიხსტაგის თანხმობით, რათა ამ გვარად განხორციელებულ იქნეს სრული თანამშრომლობა ხალხისა ომისა და ზავის საკითხის გადაჭრაში.

უცხოეთი

(ტრანს ოკეანეს პრესის ცნობა)

ფინლანდია და ესტლანდია.

„სტოკჰოლმის გაზეთი" სწერს იმაზე, თუ რა ბედი ეწვევა ფრონტის მახლობლად მდებარე ქვეყნებს, როდესაც გერმანიის ჯარი იქიდან წაყვანილი იქნება, და სწერს: „ფინლანდია, ესტლანდია, ლიტვა და სხვ. ბოლშევიზმის საფრთხისა და ტერორის ქვეშ დარჩებიან. თუმცა მეტი წილი ამ ქვეყნებისა გერმანიის სახელმწიფოს ნაწილებს არ შეადგენენ, მაგრამ დღეს-დღეობით კი ისინი გერმანიის ჯარის წყალობით არსებობენ".

ქალაქი ლილლი.

გერმანიის ლაშქრის მთავარმა სარდლობამ შვეიცარიის საშუალებით შეატყობინა საფრანგეთს: ქ. ლილლში დიდი მღელვარებაა და რადგან ახლო მომავალში მოსალოდნელია ქალაქის [illegible] დაცლა, რაიც დიდ [illegible] გამოიწვევს ქალაქში და მეზობელ ადგილებში, თუმცა გერმანიის მთავრობას დიდი სურვილი აქვს, მაგრამ მაინც ვერ იზრუნებს იქიდან ლტოლვილ მცხოვრებლებზე. ამასთანავე ერთად ჰოლანდიის მთავრობასაც შეატყობინეს. მან თანხმობა განაცხადა, მაგრამ ვერ შეძლების დაგვარად დახმარება [illegible] ლტოლვილებსო. საფრანგეთის მთავრობისაგან ჯერ პასუხი არ მოსულა.

პოლონეთი. ვარშავის გაზეთები იუწყებიან, რომ სამეფო საბჭო ცდილობს რაც შეიძლება მალე აიღოს თავის ხელში ქვეყნის მართვა-გამგეობა და ჯარის ორგანიზაცია.

გერმანიის მთავრობა შეუთანხმდა პოლონეთის რეგენტის საბჭოს პოლონეთის ჯარის კაცთა ფიცის მიღების შესახებ. ახალი ფიცი ასეთია: ვფიცავ ყოვლად შემძლე მეუფის წინაშე, რომ სიმართლით ვემსახურო ჩემს ქვეყანას, პოლონეთის სახელმწიფოს და რეგენტის საბჭოს, როგორც პოლონეთის მომავალ უმაღლეს მთავრობის დროებით წარმომადგენელს; ვიმსახურო ხმელეთზე და ზღვაზე, ვფიცავ დავემორჩილო ოფიცრებს და შევასრულო ბრძანება მათი, რათა ვიცოცხლო და მოვკვდე, როგორც გულადი და პოლონეთის საამაყო ჯარის-კაცი.

საფრანგეთი. ტრანსპორტის კრიზისმა, რომლის დაფარვა საფრანგეთში შეუძლებელი გახდა, გამოიწვია შეკითხვა საფრანგეთის ვაჭართა პალატაში საზოგადო სამუშაოთა მინისტრისადმი, მინისტრმა ამ მოვლენის მთავარ მიზეზად ვაგონების სიმცირე აღიარა.

ფინლანდია. ჰავასის სააგენტომ გამოაქვეყნა ნოტა, რომლითაც იუწყება რომ საფრანგეთმა ფინლანდიასთან დიპლომატიური კავშირი შესწყვიტა.

ბუდაპეშტი. 10—16. მეფემ მიიღო დღეს მინისტრ-პრეზიდენტი ვეკერლე. მეფემ განუცხადა, რომ ის არ დათანხმდება მთავრობის გადადგომაზე, რადგან სავსებით ენდობა მას.

(მოსკოვის ცენტ. კომ. ბიულეტენი)

ბერლინი. ახალი კონსტიტუციით განზრახულია იმპერატორს ჩამოართვან უფლება ომისა და ზავის საკითხის გადაჭრის.

სტოკჰოლმი. ირლანდიაში საყოველთაო მოხდა სამხედრო ბეგრისა გააუქმეს.

სტოკჰოლმი. სტამბოლში ყოველ დღე არეულობაა და ქუჩებში დემონსტრაციები ხდება. შავი ზღვის ფლოტის მოსვლის მიზანია—ჩააქროს რევოლიუცია.

ბერლინი. ვარშავაში სოც.-დემ. საყოველთაო მილიცია გამოაცხადა.

ბერლინი. ჰესენის პრინცი კარლო თანახმაა ფინლანდიის ტახტზე ავიდეს.

სტოკჰოლმი. ჰელსინგფორსში 9 სოციალდემოკრატს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

ახალი ამბავი

დეპეშები ქართულად. ოქტომბრის 18-დან საქართველოს სააგენტო ქართულ გაზეთებს დეპეშებს უგზავნის ქართულად.

[illegible] მოხსენება. კვირას, ოქტომბრის 20-ს ზუბალაშვილის სახალხო სახლში ბაქოს დროებით აღმასრულებელ კომიტეტის ყოფილი წევრი გ. [illegible] წაიკითხავს მოხსენებას: „ბაქოს ამბები". მოხსენება დაიწყება შუადღის 12 საათზე.

ბოლშევიკების დახვრეტა. ბაქოდან იტყობინებიან, რომ შაუმიანი და ბოლშევიკების ლიდერი ჯაფარიძე, აგრეთვე რამდენიმე სხვა ბოლშევიკი კისლოვოდსკში დაუხვრეტნიათ.

სომხეთა პროტესტი. სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობასთან ჯამალიანმა აზერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს გადასცა სომხეთის მთავრობის პროტესტი ბაქოს აღების დროს აზერბეიჯანის ჯარის მოქმედების გამო. პროტესტი, სხვათა შორის, შეიცავს მოთხოვნილებას დამნაშავეთა დასჯის შესახებ.

ხოლერა. ოქტომბრის 17 ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 10 ხოლერიანი, მორჩა 1, გარდაიცვალა 3, საეჭვოთა განყოფილებიდან ხოლერიანთა განყოფილებაში 3, სხვა განყოფილებიდან გადაიყვანეს 1, მოიყვანეს საეჭვო 1, გამოეწერა 3, გარდაიცვალა 2. ამ დღეებში ითვლებოდა 48 ხოლერიანი და 9 საეჭვო.

სომხეთა მეოთხე წარმომადგენელი. სომხეთა ეროვნულ საბჭოდან საქართველოს პარლამენტში მეოთხე წარმომადგენლად არჩეულ იქნა ალ. ერზინკიანცი.

სომხეთა ერ. საბჭომ ბაქოში დაზარალებულ სომხებთათვის გადასდო 100,000 მანეთი. ამ მიზნისათვის აგრეთვე 25,000 მანეთი გადასდო სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოებამ.

გაძარცვა. ოქტომბრის 17-ს საღამოს, იზმაილოვის ქუჩაზე № 7 დევოლვევის ბინაზე შევიდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი. მათ მოკვლის მუქარით დევოლვევს 14,000 მანეთი წაართვეს.

მაჰმადიანთა ჯარში გაწვევა. ბაქოში მაჰმადიანთა ჯარში გამწვევი კომისია იტყობინება, რომ ყველა მაჰმადიანი 19 წლიდან 24 წლამდე გამოცხადდეს ჯარში ჩასაწერად.

სომხური წარმოდგენები. ოქტომბრის 21-ს სარტისტო საზოგადოების დარბაზში დაიწყება სომხურ წარმოდგენების სეზონი. სომხური წარმოდგენები გაიმართება ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

სალიკვიდაციო დახმარება. შრომის სამინისტრომ მიმართა საქმეთა სამინისტროს [illegible], რომ თუ სინოდალური კანტორა სახელმწიფო დაწესებულებად ითვლება, მის მოსამსახურეებს შტატის შემოკლების გამო დათხოვნილებს სალიკვიდაციო დახმარება უნდა მიეცეთ 1918 წ. ივლისის 5-ის ძალით.

მასწავლებელთა ჯამაგირები. სახალხო განათლების სამინისტრო ამუშავებს პროექტს საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების ჯამაგირების მომატებაზე. პროექტის ძალით მასწავლებელთ უნდა ექნეს ჯამაგირი არა ნაკლებ 9000 მანეთისა წლიურად. მასწავლებლებს ნება არ ექნება ორ საშუალო სასწავლებელში იმასწავლებლოს.

ამხანაგი დ. ნ. [illegible] გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას დაეკარგა [illegible] ბილეთი [illegible] ქუთაისის სამხედრო [illegible] უფროსისაგან 16 ენკენისთვის 1918 წელს [illegible] გთხოვთ „სახალხო საქმის" რედაქციაში გამოგზავნოს.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებაში მიმდინარე წლის ნოემბრის 10-ს დღის 12 საათზე, ქართული კლუბის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგ. რწმუნებულთა მორიგი კრება. განსახილველი საგნები: 1. გამგეობის ანგარიში 1916 და 1917 წლებისა, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3. გამგეობის მოხსენება საზ. სამოქმედო გეგმის შესახებ, 4. არჩევნები და სხვა კითხ.

— ოქტომბრის 10-ს და 15-ს მორიგ სხდომაზე გამგეობამ დაადგინა: 1. გამოიცეს 1919 წლის საქართველოს კალენდარი მსგავსად „კავკასიის კალენდრისა". საკალენდრო კომისიაში წარმომადგენლად ქ. შ. წ. კ. გ. ს. მხრივ დანიშნულ იქნას დ. გ. კარიჭაშვილი, კალენდრის შედგენის დროს კოლეგიამ უნდა იხელმძღვანელოს ლევან ასათიანის მიერ წარმოდგენილი პროგრამით (ამ პროგრამის მიხედვით კალენდარში გარდა სტატისტიკური ცნობებისა, მოთავსებული უნდა იქნეს იურიდიული, სამეურნეო და სხვა მასალები.) 2. გაეგზავნოს მადლობა ისიდორე კვიცარიძეს, რომელმაც ჩააბარა განს. საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის ბიბლიოთეკა, მოათავსა თავის საკუთარ ბინაზე და უსასყიდლოდ [illegible] ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენისა და [illegible] მოწესრიგების საქმეში, კვიცარიძის ცნობით გ. წერეთლის ბიბლიოთეკა [illegible] წარმოადგენს, ღირებულება აღემატება 60,000 მანეთს.

ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა ამხანაგობის წესდება უკვე დამტკიცებულია. უკანასკნელ კრებაზე აირჩიეს გამგეობაში შემდეგი პირნი: ინჟ. ვ. კაკაბაძე, ინჟ. გ. [illegible], ტექნიკოსი გ. [illegible], ინჟ. კ. [illegible], ტექ.-ინჟ. [illegible], გზათა ტექ. ა. [illegible] და ინჟ. ვ. ივანიცკი. კანდიდატებად: ინჟ. [illegible], ინჟ. [illegible] და ინჟ. ს. ფირცხალაური. გამგეობა, რომელიც მოთავსებულია ვერის დაღმართზე № 14 [illegible], უკვე შეუდგა მუშაობას.

სამედიცინო კურსები. [illegible]

საერობო არჩევნები. თბილისისა და ალგეთის რაიონებში უკვე დასრულდა. ორივე რაიონში წარდგენილი იყო შეერთებული სიები სოციალ-ფედერალისტებისა და სოც.-დემოკრატიის ბლოკისა. მანგლისის რაიონში არჩეულ იქმნენ: მ. ს. [illegible], ა. გ. გოგისაშვილი, ი. ივ. სტურუა, ა. თ. [illegible] და [illegible]. ალგეთის რაიონში აირჩიეს: დ. ი. [illegible], [illegible], ი. [illegible], [illegible] და [illegible]. ტფილისის სამაზრო საერობო ხმოსანთა საორგანიზაციო [illegible] კრება უკვე შესდგა.

ამხ. პეტრე კედია. აგვისტოს 13 ქ. ზუგდიდში [illegible] გარდაიცვალა პარტიული მუშაკი პეტრე კედია. 1905 წლიდან მოღვაწეობდა [illegible] ჩვენი პარტიისათვის დიდი [illegible] და მოღვაწე. მიუძღვის ზუგდიდის მაზრის „კოოპერატივთა კავშირის" დაარსებაში. ზუგდიდის ამხანაგებისათვის მეტად სამწუხარო დანაკლისია ამხ. კედიას სიკვდილი.

გოგნაძის გამორიცხვა. დასავლეთ საქართველოს ხაზინებში მოსამსახურეთა კავშირის გამგეობა აცხადებს ამხანაგებს და ყველა დაწესებულების მოსამსახურეთა საყურადღებოდ, რომ ქუთაისის ხაზინის ახლად დანიშნული უფროსი ბუხჰალტერი ვარლამ დავითის ძე გოგნაძე ხელმეორედ არის კავშირის წევრობიდან გამორიცხული მის მავნე კავშირისადმი მოქმედების გამო. თავმჯდომარე თ. ინჯია, მდივანი მ. ზავდია.

ბერლინის ამბები: ბერლინის უნივერსიტეტთან არსებულ აღმოსავლეთის სემინარში გაიხსნა ქართული ენის კურსები საქართველოს დიდი მეგობარის დოქტორ ფილ. დოქ. ს. მეკელაინის ხელმძღვანელობით. იმავე უნივერსიტეტში მომავალ საზამთრო სემესტრში ბატონი მეკელაინი წაიკითხავს ლექციებს: „კავკასიის ხალხების კულტურა, საქართველოს როლის განსაკუთრებულად გათვალისწინებით". ბატონი მეკელაინი მუშაობს ახლა ქართულ გრამატიკისათვის, ამ შრომაში ბ. მეკელაინს ბერლინელი ქართველებიც შველიან. „ქართველი მწერლები გერმანულად", გარდა ამისა დოქტორ მეკელაინისა და ჩვენი გაზეთის თანამშრომელის კოწია გამსახურდიას განუზრახავთ გერმანულად გადათარგმნონ ქართველი მწერლების მთავარი მონუმენტები. პირველ რიგში უკვე შეუდგნენ საბა სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის" თარგმნას.

სამძიმარი დეპეშა. რედაქციამ ამხ. მიხ. ტყავაძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: კიევის ქართველთა კოლონიის ცნობით იქაურ სტუდენტთა ოჯახს კიდევ გამოაკლდა ერთი წევრი, [illegible] და [illegible] ახალგაზრდა ვანო [illegible] ჩვენი პარტიული ამხანაგი. საქართველოში მყოფი კიევის ქართველ სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაცია აღნიშნავს რა სრულიად მოულოდნელ მის სიკვდილის ამბავს, იზიარებს მისი მშობლების მწუხარებას. ორგანიზაციის თავმჯდომარე: მ. ტყავაძე; მდივანი ჩახავა.

სასწავლებლებში.

ტფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიასთან გაიხსნა ოქტომბრის 17-დან [illegible] განყოფილება. სწავლა ოქტომბრის 25-ს დაიწყება. თხოვნების მიღება გრძელდება.

საექიმო ფაკულტეტის ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ. შაბათს, ოქტომბრის 19-ს ნაშუადღევის 5 საათზე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, წყნეთის ქუჩა დანიშნულია კრება საექიმო ფაკულტეტის ყველა ქართველ სტუდენტთათვის, რომლებიც სწავლობენ ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტში და აგრეთვე დარჩენილია უნივერსიტეტის გარეშე. განსახილველია ფრიად საგულისხმიერო საკითხები და განსაკუთრებით კი: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტის მეორე კურსის გახსნის შესახებ, რისთვისაც ნაბიჯები უკვე გადადგმულია. საინიციატივო ჯგუფი.

კრებები

ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა და ქუთაისის ექიმთა კავშირის გაერთიანებული კრება. დაიწყება ოქტომბრის 20-ს, 1 საათზე 1 ვაჟთა გიმნაზიის შენობაში (შესასვლელი რუსთაველის ქუჩიდან). პროგრამა კრებისა: 1, გაერთიანება და შეთანხმება მსგავსებულ ორ საზოგადოებათა მოქმედებისა, 2, ქართული საექიმო და საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგია (მომხსენებელი ექ. მიქაბაძე); 3, ქართველ ექიმთა ყრილობა; 4, სტატისტიკური ცნობანი ქართველ ექიმთა რაოდენობის შესახებ (მომხსენებელია ა. [illegible]); 5, ქართული საექიმო და საბუნებისმეტყველო ჟურნალის დაარსება; ექიმთა ყრილობის მნიშვნელობა საერობო მედიცინის განვითარებისათვის (მომხსენებელია ექ. მაისურაძე)—ქუთაისიდან ჩამოსულ ექიმთათვის ბინა მოწყობილი იქნება ზუბალაშვილის თავშესაფარში (სასამართლოს ქუჩა).

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოხელეების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის, რომ საბჭოს სხდომას, რომელიც მოხდება ქართულ კლუბის შენობაში კვირას, ამ თვის 20. დილის 11 საათზე, უსათუოდ დაესწრონ ტფილისის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლები, რადგან გასარჩევ-გადასაწყვეტია ისეთი რთული და ფრიად საჭიროოტო საკითხები, როგორებიც არიან, მაგალითად: კავშირის გაძლიერება-განმტკიცება, კოოპერატივის დაარსება, [illegible] შექმნა და სხვა.

შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ საქართველოს პარლამენტის ანგარიშში სხვა შეცდომათა შორის გ. [illegible] წინადადებაში ნათქვამია: ახალი დახმარება ხუთი ათას მანეთამდე შემცირდეს. უნდა იყოს: ხუთ მანეთამდე შემცირდეს და სხვა.

სოფლად და ქალაქად.

ხაშური

8 ოქტომბერს ფოთიდან ტფილისში მომავალი ჯარის-კაცები მოწამენი გავხდით სადგურ ხაშურის მილიციის უფროსის ვინმე ნაცვლიშვილის სახიზღარ მოქმედებისა. პატარა რუსის ბავშვი

სადგურზე, პურს ჰყიდდა, რაც აკრძალული ყოფილა. მილიციამ უფროსმა წაავლო მას ხელი და ბავშვის ოთახში შეიყვანა. მალე იქიდან გამოვიდა ბავშვი სახე დასისხლული; ერთი თვალი ისე გასიებოდა, რომ ვეღარაფერს ხედავდა. ექიმთან წავიყვანეთ, რომელმაც შეამოწმა ბავშვის თვალის სერიოზული მდგომარეობა. სამილიციო ოთახთან აღშფოთებული ხალხი შეგროვდა. გამოვიდა ერთი სოც.-დემოკრატი და განაცხადა: მილიციის უფროსი ჩვენი პარტიისაა და პარტია თვით დასჯის მას. ჩვენ ოქმის შედგენა მოვითხოვეთ და დარწმუნებული ვიყავით საქმე არ შესწყდებოდა. ადგილობრივი მცხოვრებნი ამოწმებდნენ რომ ნაცვლიშვილის მოქმედება პირველი არ ყოფილა: მას 6 ოქტომბერს ერთი ქალისთვის უცემნია, დღეს კი, როგორც გავიგეთ, ნაცვლიშვილს მილიციის უფროსის ადგილი უჭირავს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამგვარ ვაჟბატონების თავგასულობას და დამნაშავენი დასაჯონ მთავრობის და არა პარტიის მიერ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

მთავარი კომიტეტის სხდომა დანიშნულია კვირას, ოქტომბრის 20 საღამოს რვა საათზე „სახალხო საქმის" რედაქციაში. განიხილება ფრიად ყურადსაღები საკითხები. ამიტომ პრეზიდიუმი სთხოვს წევრებს აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას.

ტფილისის საგუბერნიო ყრილობა საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა დანიშნულია ოქტომბრის 20-ს, დილის 10 საათზე ტფილისის პარტიულ კლუბში. საგანი ყრილობისა 1. მოხსენება საგუბ. კომიტეტისა. 2. მიმდინარე საკითხები 3. საგუბერნიო კომიტეტის არჩევნები ორგანიზაციებს ევალებათ თითო წარმომადგენლის გამოგზავნა მაინც.

გუშინდელ ნომერში, სადაც ჩამოთვლილია ტფილ. კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრთა გვარები, შემთხვევით გამოტოვებული იყო ამხანაგი ვ. ძინძიბაძე.

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების დამატებითი პირობები

(ჩვენი გაზეთის ბერლინელი კორესპონდენტისაგან).

„Nordd. Allg. Zeit." იუწყება:

რამოდენიმე თვეა რაც ბერლინში რუსეთისა და გერმანიის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკება წარმოებდა; ამ მოლაპარაკების შედეგია ქვემორე მოყვანილი ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებების დამატებითი პირობები. ფინანსიური და ერთიც კერძო შეთანხმება.

ამ დამატებითი კონტრაქტს ხელი მოაწერეს გერმანიის მხრით: — შტატს-სეკრეტარმა ჰინცემ, მინისტერიალ დირექტორმა კრიგემ და რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბატონმა იოფფემ.

ისეთ დროს, როცა ოთხთა კავშირის სახელმწიფოები ომს უცხადებენ რუსეთს რათა ისტორიის ბორბალი უკუღმა დაატრიალონ, — ეს ხელშეკრულება დიდი ნაბიჯია აღმოსავლეთის ერების განთავისუფლებისაკენ. ეს კონტრაქტი იქითკენაა მიმართული, რომ სადავო საკითხები მშვიდობიანის გზით მოაგვაროს და ნორმალური პირობები დაამყაროს გერმანიასა და რუსეთს შორის. ოფიციალურად ამ ხელშეკრულების შინაარსთან რომელსაც კიდევ რატიფიკაცია სჭირია როგორც რუსეთის, ისე გერმანიის მხრით, შეიძლება შემდეგი გამოქვეყნდეს.

დამატებითი ხელშეკრულების

მიზანია მთელი რიგი პოლიტიკური და სამხედრო საკითხების მოწესრიგება. ამ დამატებითი ხელშეკრულების შეკვრა მით უფრო საჭირო იყო, რომ ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული რუსეთის დამოკიდებულება იმ განაპირა ერებისადმი, რომელნიც დღემდის იბრძოდნენ თავიანთი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

მიუხედავად იმისა, რომ სამთა კავშირის სახელმწიფონი უკვე დამყარებულ ნორმების წაშლას ლამობენ, უკვე საქვეყნოდ აღიარებულია ის ჭეშმარიტება, რომ ოთხთა კავშირის სახელმწიფონი ჯერ კიდევ ბრესტლიტოვსკის ზავის ჩამოგდების ხანაშიც მხოლოდ ისეთი განაპირა ქვეყნების პოლიტიკურ თავისუფლებას უჭერდნენ მხარს, რომელთაც ომის დროს მოიპოვეს იგი. ბრესტლიტოვსკის ზავის დროს კომისართა საბჭოს მთავრობამ თვითვე აღიარა, რომ იგი მხარს უჭერს ერთა თვითგამორკვევის უფლებას და უკვე აღიარებულ, ინტერნაციონალური უფლება თავის შედეგების კეთილად დაგვირგვინებას მოითხოვდა. ოთხთა კავშირის სახელმწიფოებს (ცენტრალური სახელმწიფოები იგულისხმე!) არ შეეძლოთ ხელი არ — გაეწოდათ იმ განაპირა ქვეყნების ერებისათვისაც, რომელთაც ომის დროს ცენტრალურ სახელმწიფოებთან ზავის ჩამოგდება მოითხოვეს. მარტის 3-ს ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს აღიარებულ იქმნა უფლება იმ ერებისაც, რომელნიც ახლო მომავალში არსებითი თვითგამორკვევისაკენ გადასდგამდნენ ნაბიჯებს, ამ დროს ხაზგასმით არ იყო გათვალისწინებული ახლო მომავალის ახალი პოლიტიკური კომბინაციები. მაგრამ ამ ზოგადი მუხლით არ დაკმაყოფილდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი პერიფერიების ქვეყნები.

რუსეთში კვლავ მკვლელობა იყო. ამ არეულობაში ერთი მხრით გაარჩევდით სამთა კავშირის სახელმწიფოების აგენტების მუშაობას, რომელთაც კომისართა საბჭოს ჩამოგდება ეწადათ, ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების გასაბათილებლად, მეორე მხრით უკმაყოფილო ელემენტს შეადგენდნენ ის ერები, რომელნიც თავისი პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად ვაჟკაცურად იბრძოდნენ, თანაც გერმანიასთან და კავშირებას ლამობდნენ.

ყველაფერ ამას თან მოჰყვა მცირე უთანხმოება გერმანიასა და რუსეთს შორის. საჭირო იყო ახალი მოვლენების გათვალისწინება და მოწესრიგება. უკანასკნელის მოთხოვნის უფლება ჰქონდა გერმანიას, რადგანაც ამისთვის შესაფერი მუხლები ბრესტლიტოვსკის საზავო პირობებში იქმნა აღნიშნული.

ბრესტის ხელშეკრულებაშივე მოიპოვებოდა ერთი მუხლიც: გერმანიას ნება არ უნდა ჰქონოდა ხელი შეეწყო რუსეთის ტერიტორიალურ დანაწილებისათვის.

იგივე მუხლი განმეორებით აღინიშნა დამატებითი ხელშეკრულებაში! რათა რუსეთს შეძლებოდა თავისი შინაური საქმეების ავტონომიურად მოწესრიგება. მცირე ერებს შორის პირველად ესტლიანდიამ სთხოვა შველა გერმანიას ბრესტლიტოვსკის ზავის შემდეგ.

ბრესტის ზავის დროს დადგენილ იქმნა გერმანიას პოლიტიკური წესით უნდა დაეპყრო ესტონეთი; ე. ი. ვიდრემდის ქვეყანა საკუთარ ფეხზე წამოდგომას შესძლებდა გერმანია ადმინისტრაციის საქმეში უნდა დახმარებოდა ესტონეთს.

ამ ნაბიჯის გადადგმამ გერმანიის მხრით, მოითხოვა იმ დამოკიდებულების გამორკვევა, რომელიც უნდა დამყარებულიყო ერთხელ და სამუდამოდ რუსეთსა და მისი პერიფერიების მცირე რიცხოვან ხალხებს შორის. (როგორც ვიცით ჯერ კიდევ კერენსკის მთავრობამ აღიარა ასეთი ხალხების თვითგამორკვევის უფლება).

რუსეთს არ უნდოდა გამოსავალი გზა დაეხშო ბალტიის ზღვისაკენ; გერმანია დაეთანხმა რუსეთს, რომ მას თავისუფალი მიმოსვლისათვის გზა ჰქონოდა ბალტიის ზღვისაკენ. ამიერიდან რუსეთს შეეძლება ბალტიის ზღვის პორტებით სარგებლობა მხოლოდ ეკონომიურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დროს სხვა განაპირა ქვეყნების პოლიტიკური მომავალიც არ იქმნა გათვალისწინებული. ასეთს ერებს შორის **საქართველომ გადადგა დიდი ნაბიჯი თავისი ნაციონალური სახელმწიფოების განმტკიცებისაკენ.**

„ჩვენ (იგულისხმება გერმანია) შევძელით რუსეთი დაგვეთანხმებინა და რუსეთის საბჭოთა მთავრობამ აღიარა, რომ საქართველოს რესპუბლიკა უაღრესად დემოკრატიულ პრინციპებზეა აგებული და ამიტომ მას შეუძლია ისარგებლოს თვითგამორკვევის უფლებით.

რაც შეეხება კავკასიის დანარჩენ პატარა სახელმწიფოებს, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ არ იცნო მათი სუვერენული უფლებები.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა ბაქოს უზრუნველყოფა.

რუსეთმა პირობა მისცა გერმანიას რომ მას და მის მოკავშირეებს ნავთის წარმოებაში ნაწილი დაედებათ.

იმ პრინციპების შორეულმა განვითარებამ, რომელთაც განაპირა ქვეყნების ნაციონალური პრობლემა ეწოდება, გერმანიის ჯარებსა და რუსეთის მხედრობის ნაწილების შეხლა შემოხლა გამოიწვია, რამდენიმეჯერ იყო შემთხვევა: მცირე ერების მაშველად გაგზავნილ გერმანულ ჯარებს, რუსის გვარდია შეება.

დამატებითი ხელშეკრულებაში გერმანიამ მოსთხოვა საბჭოთა მთავრობას ასეთი კონფლიქტების ლიკვიდაცია.

რაიცა შეეხება იმ საოკუპაციო ტერიტორიას, რომელიც უკრაინის აღმოსავლეთით იმყოფება, ამ შემთხვევაში გერმანიამ ანგარიში გაუწია ველიკოროსიის ეკონომიურ საჭიროებათაც.

ფინანსიური პირობები.

რუსეთმა იკისრა 6 **მილიარდის** მიცემა გერმანიისადმი.

აქედან ერთი მილიარდის გადახდა უკრაინამ და ფილანდიამ იკისრეს.

შემდეგ მუხლებში აღნიშნულია სავაჭრო და სამრეწველო პირობები, ცალკე მუხლებშია მოხსენებული რუსეთში მცხოვრებ გერმანიის ქვეშევრდომთა უზრუნველყოფა და იმ ზარალის ანაზღაურება რომელიც ომის დროს მიაყენა ბრბომ სხვა და სხვა დროს გერმანიის ქვეშევრდომებს რუსეთში. იგივე მუხლი ეხება გერმანიაში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეთა ზარალის ანაზღაურებას და სხვა.

თეატრი და ხელოვნება

კვირას ოქტომბრის 20-ს [illegible] სასწავლებელში (ბელგიის ქუჩა,) შესდგება ძალიან საინტერესო კონცერტი ებრაელთა ხალხური მუსიკისა, პროგრამაში შედის ქართველ ებრაელთა სიმღერები. კონცერტში იღებენ მონაწილეობას: სახელმწიფო თეატრის მსახიობი ზ. ი. ზალიპსკი, სკრიპკის დამკვრელი ი. ფიშერგი, ვიოლონჩელისტი ნ. შენდიცკი, მომღერალი ქალი ფ. ორლოვისა და კანტარი ზ. ს. ორლოვი, ებრაელთა მუსიკის შესახებ სიტყვას წარმოსთქვამს ცნობილი კომპოზიტორი ლ. ი. სამინსკი.

სახელმწიფო თეატრი დღეს მეორედ სდგამენ „უიდოვკას".

დრამა **„ტარტო"**, პირველად დღეს სდგამენ ფ. დოსტოევსკის ცნობილ რომანიდან გადმოკეთებულ პიესას **„იდიოტს"** მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები.

სომხური პრესა

ვილსონის საზავო პირობები და სომხები.

„ჟოღოვურდი ძაინ"-ის (№ 31) მეთაური ეხება ვილსონის მიერ წამოყენებულ საზავო პირობებს „რომელნიც, გაზეთის აზრით, ჰქმნიან ევროპაში status quo ante bellum-ს და არკვევს ამ პირობების მნიშვნელობას სომხთა საკითხის გადაჭრისათვის. გაზეთი სწერს:

„... ყველას (ე. ი. ბელგიას, ჩერნოგორიას, სერბიას, რუმინიას, ელზას-ლორენს, რუსეთს) ეძლევა საშუალება თავისუფალი განვითარებისა და ყველა მათ მიერ დაკარგული მიწების და უფლებების უკანვე დაბრუნებისა.

მაგრამ ვეკითხოთ, რას მიიღებს სომხის ერი, რომელმაც ამ ოთხი წლის განმავლობაში ომის სამსხვერპლოზე ისეთი დიდი მსხვერპლი მიიტანა, რომელიც პროპორციულად თუ ავიღებთ, ყველა სხვა ერის მსხვერპლზე უდიდესად და უსაშინელესად უნდა ჩაითვალოს? მიიღებს თუ არა ის თავისუფლად ცხოვრების და თავისი ბედის განგების საშუალებას? ექნება თუ არა მას ერთი მყუდრო მხარე სადაც ის შესძლებს ცხოვრებას ყველა თავისი შვილებით, რომელიც დღეს უსახლ-კარონი უცხოეთში დაძრწიან?

ამის შესახებ ვილსონის საზავო პირობებში შემდეგი სტრიქონებია: „ოსმალეთში მცხოვრებ უცხო ერთა ცხოვრების, მათი თავისუფალი, მყუდრო და

მიწის საკითხი

(შემდეგი *)

ეხლა იბადება საკითხი იმ მიწების შესახებ, რომელიც დატოვების ნორმაში მოექცევიან, აქ უმეტესად მცირედ მიწის პატრონ გლეხთა მიწებია და რამდენიმე პროცენტი ყოფილ მემამულეთა. ჩვენ შეგვეძლო ეს მიწებიც დღესვე ჩაგვერიცხა სახელმწიფო ფონდად და მათ დღევანდელ პატრონებთათვის სარგებლობის წესით დაგვეტოვებინა, მაგრამ ეს რეფორმა არც საჭიროა, არც რაციონალური იქნებოდა. ჯერ ავიღოთ ყოფილი მემამულენი: შესაძლოა მათ დატოვების ნორმის ფარგალში არ შეუძლიათ, ან არ სურთ მეურნეობის წარმოება, რა უფლება გვაქვს აქაც შევზღუდოთ იგი და მოუსპოთ ერთად-ერთი საშუალება ამ დარჩენილის გასყიდვისა. მეორე მხრით დიდი უმეტესობა ამ მესაკუთრეთა მშრომელი გლეხობაა, რომელთაც ან ნასყიდობით აქვთ შეძენილი ეს მიწა საკუთრებად, ან მემკვიდრეობით.

ყოველგვარი შეზღუდვა (არსებითი) მასზე მეტად ცუდ გავლენას მოახდენდა და მას სახელმწიფოს მტრად აქცევდა. ჩვენ შეგვეძლო მათთვისვე დაგვეტოვებინა ეს მიწები სასარგებლოდ, მაგრამ თუ მას თავისუფალ განკარგულების უფლებას წავართმევდით, იგი ამაში დაინახავდა კონფისკაციას და აშკარაა გამოსასყიდ ფულსაც მოითხოვდა სახელმწიფოდან. საუბედუროდ, ინსტიტუტი მესაკუთრისა საკმაოდ ძლიერია მასში და მას ვერ შევეხებით, თუ არ გვინდა საშინელი რეაქცია არ გამოვიწვიოთ და მართლაც ვანდეა არ შევქმნათ. გლეხს დღესაც აქვს ორი კატეგორიის მიწა, ერთი საკუთრება და მეორე არენდით ან საზიაროდ, ყოველი რადიკალური შეცვლა ამ ტრადიციისა უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლიდა და დიდ ზიანს მოუტანდა სახელმწიფოს.

მაგრამ ეს ჩვენთვის სრულიად საჭირო არაა, ჩვენ შეგვიძლია ისეთი პირობები შევქმნათ და დავაკანონოთ, რომლის ძალით ბუნებრივად და სრულიად უმტკივნეულოდ გავატარებთ ამ დიდ რეფორმას ყველა მიწების დაგროვებას სახელმწიფოს ხელში, რომელიც მას მარტო სარგებლობის წესით გასცემს — სხვანაირად — მოვსპოთ საქართველოს რესპუბლიკაში სრულიად კერძო საკ. მიწაზე. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია სხვა გზებით შევზღუდოთ ეს საკუთრება და უმტკივნეულოდ მივაღწიოთ მიზანს. ასეთი ზომებია:

1. მიწებს ვერავინ შეისყიდის დაწესებულ ნორმის ზევით.
2. მიწის ყიდვა გასყიდვის დროს უპირატესობა ეძლევა სახელმწიფოს.
3. გაქირავების უფლების მოსპობა.
4. იურიდ. პირებს მიწა არ შეიძლება გადაეცეს საკუთრებად.
5. ანდერძით მიწის დატოვების გაუქმება.
6. მემკვიდრეობითი წრეების შემცირება.
7. მემკვიდრეობაზე პროგრესიული გადასახადი.
8. მფლობელობის წესით საკუთრების შეძენის გაუქმება.

ყველა ეს ზომები იმდენად ზღუდვენ კერძო საკუთრების უფლებას, რომ მიწები თან და თან გადავა სახელმწიფოს ხელში და ეს ინსტიტუტი (საკუთრებისა) ბუნებრივის სიკვდილით გაქრება.

ამავე დროს აქ არ არის რაიმე ისეთი, რაც დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდეს და დიდად შელახავდეს დღესვე მესაკუთრის უფლებას. მაშასადამე ჩვენი შემდეგი დასკვნა იქნება:

საზოგადოებას ამა თუ იმ ხანაში შეუძლია რაციონალურად ჩასთვალოს, რომ მიწა მესაკუთრეებში იყოს დანაწილებული, „მაგრამ ეს შესაძლებელია" ამბობს მილლი, „მარტო იმ შემთხვევაში, თუ მიწის მესაკუთრენი მონაწილეობას იღებენ ამა თუ იმ სახით ნაციონალურ სიმდიდრის შექმნაში და ხელს უწყობენ მცხოვრებთა ეკონომიურ კეთილდღეობას, მაგრამ რა შეგვიძლია ვთქვათ მსხვილ მიწათმფლობელებზე (მაგ. ირლანდიაში). მათი დამოკიდებულება მიწისა და მეურნეობისადმი გამოიხატება მარტო არენდის ფასის აკრეფაში წვრილ არენდატორებისაგან". მაგრამ სულ სხვაა, როცა სახელმწიფო გამოდის მიწის მესაკუთრედ, მისი ეკონომიური პოლიტიკა უფრო შორსმჭვრეტია, და მას არ შეუძლია მიიტანოს ველური ექსპლოატაცია, მას არ შეუძლია განსაზღვრულის საერთო გეგმით არ აწარმოებინოს მიწის მოსარგებლეთ მეურნეობა, არ შეუძლია სათანადოდ არ შეუწყოს ხელი საერთო მეურნეობის აყვავებას ყველას ერთნაირად. მას, როგორც უმაღლეს ორგანიზაციას მოეპოვება საამისო აპარატი და ამას მოითხოვს მისი ეკონომიური პოლიტიკის ინტერესები, ამიტომ სრულიად საკმარისია სახელმწიფო ფონდის მიწებს გაუძღვეს, რომ მესაკუთრე გლეხი დარწმუნდეს ასეთ მიწების უპირატესობაში და მასში, თან და თან წაიშალოს ინსტინქტი მესაკუთრისა, ადვილად შეასყიდოს სახელმწიფოს თავისი მიწაც, რადგან სასარგებლოდ მისაღები მიზომილი მიწა მას ბევრად მეტ ეკონომიურ უპირატესობას ანიჭებს და მინიმუმის დახარჯვით აძლევს მაქსიმუმს შემოსავლისას.

გზა, რომელსაც ჩვენ ვირჩევთ ამ შემთხვევაში არ არის იმდენად ორიგინალური. დაახლოებით ამავ აზრს ჰქადაგებდა ინგლისელი ეკონომისტი გოსსენი მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა რევიზიონიზმის სკოლა, რომელმაც თეორეტიულ კრიტიკასთან პრაქტიკულად დაასკვნა დაახლოებით იგივე

ბერნშტეინი, დავიდი, ჰერცი იმ აზრისანი არიან, რომ ერთადერთ ბუნებრივ ბაზისად, რომელზედაც შეგვიძლია ავაგოთ ჯანსაღი და რაციონალური სახალხო მეურნეობის პოლიტიკა სოფლად პოლიტიკა, რომელიც ამზადებს ნიადაგს სოციალიზმისათვის, არის კოოპერაციები და გლეხთა ამხანაგობანი; ეს არის რეალური გზა და კონკრეტიული ფორმა აგრარულ სოციალისტურ მოძრაობისა. მაგრამ, რაც უფრო საყურადღებოა ამ შემთხვევაში ჩვენთვის, ისინი საჭიროდ ცნობენ ამხანაგობათა შექმნასთან დაცული იქმნას წვრილი მესაკუთრეობა. მათ შორის არ არსებობს წინააღმდეგობა და უკანასკნელი ამხანაგობათა შექმნით, თვითონ იქცევა გარდამავალ ფორმად, ბუნებრივად მოკვდება.

რუსეთის სოც.-რევ. ამ მხრივ განსაკუთრებულ პირობებში მუშაობენ, მათ საქმე აქვთ განსაზღვრულ ტიპის მიწათმფლობელობასთან და გლეხთა ტრადიციებთან, რასაც ჩვენში ადგილი არა აქვს, თავიანთ დეკლარაციაში ისინი პირდაპირ ამ სინამდვილით ასაბუთებენ დღესვე გაუქმებას კერძო საკუთრებისას მთელის მასშტაბით: „ჩვენ ვეყრდნობით თემობრივ არსებულ წყობილებას, შრომის პრინციპს, ტრადიციებს და ფორმებს რუსის გლეხთა ცხოვრებისას, განსაკუთრებით განმტკიცებულს მათში შეხედულებას, რომ მიწა არავისი, ღვთისაა და მით სარგებლობის უფლებას იძლევა მარტო შრომა", დამეთანხმებით ასეთ ფორმას და ტრადიციებს ჩვენში ნაკლები გასავალი აქვს და ინტენსიური კულტურული მეურნეობა დღემდის, სამწუხაროდ, კერძო საკუთრების ნიადაგზე განვითარდა. ამიტომ გლეხი ორგანიულად უკავშირებს მათ და ერთის შელახვა მეორეს დარღვევად მიაჩნია.

მაგრამ შეიძლება მიპასუხონ, რომ თემობრივ წყობილების ნაშთები ჩვენშიაც მოიპოვება ქიზიყში, ქართლში და ცხადია, ჩვენ ამ სინამდვილეს სათანადო ანგარიში უნდა გავუწიოთ. ჩვენი მიზანი ბოლოს და ბოლოს მიწის სოციალიზაციაა, კერძო საკუთრების სრული გაუქმება და ამ მიზნისკენ ჩვენ სინამდვილესთან შეფარდებულ გზებს ვიკვლევთ. ხოლო თემობრივი წყობილება საუკეთესო ობიექტიური პირობებია საამისოდ. გარდა ამისა მას აქვს განსაკუთრებული ტრადიცია და მან უკვე შექმნა განსაკუთრებული ფსიქიკა ხალხში, სუბიექტიური პირობებიც განამზადა. ჩვენ ყველა ამის გაღრმავებას და უფრო სრულ ფორმაში ჩამოსხმას მოვითხოვთ.

ამიტომ ასეთი ტრადიციები ხელშეუხებელნი უნდა დარჩნენ და სახელმწიფოც მათ მეტის დახმარება-მზრუნველობით უნდა მოეპყრას. ხოლო, თუ მიუხედავად ამისა, თემი მაინც დაადგა რღვევის გზას, ჩვენ ამ მიწებს სახელმწიფო ფონდს მივუმატებთ და მკვიდრთ მარტო სასარგებლოდ გადავსცემთ. თემმა კერძო საკუთრება არ უნდა შექმნას, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში. მაგრამ ასეთი წყობილება იმდენად მცირეა ჩვენში, რომ მაზე დიდხანს ვერ შევჩერდებით და ვერც მარტო მას დავემყარებით აგრარ. რეფორმის საერთო გატარების დროს, როგორც ამას სჩადიან ეს-ერები, რომელთაც საამისო საბუთს რუსეთის სინამდვილე აძლევთ, მაშასადამე ჩვენს დასკვნას კიდევ ემატება შემდეგი: სადაც საქართველოს საზღვრებში კიდევ დაცულია თემობრივი წყობილების ნაშთები, იქ ასეთი ფორმა ხელუხლებელი რჩება და სახელმწიფო მას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა, ხოლო თუ თემი დაიშალა, მისი მიწები გადადის სახელმწიფო ფონდში და ადგილობრივ მცხოვრებლებს მარტო სასარგებლოდ მიეცემათ მიწები საერთო წესით.

(დასასრული იქნება)

აკაკი პაპავა.

---

*) იხ. „სახ. საქ." № 352.

ავტონომიური განვითარების უზრუნველყოფა“.

მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ოსმალეთის სომხეთის საკითხი გადასწყდება: სხვა არა-თურქ ერთა შორის მასაც მიენიჭება ავტონომია.

რასაკვირველია ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანი ეს ავტონომია კი არ არის. არამედ ის, რომ იგი უნდა უზრუნველყოფილ იქმნეს, ე. ი. როგორც სჩანს, ის უნდა იქნეს ევროპის რომელიმე სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ.

და ცხადია, თუ დღესაც ერთხელ და სამუდამოდ არ გამოირკვა სომხეთის საკითხი, თუ დღესაც არ გამოირკვა მისი საერთაშორისო მდგომარეობა, როგორც საჭიროა, სომხის ერი, კვლავ თავის მეზობლების სურვილზე და თვითნებობაზე დამოკიდებული, განაგრძობს იმ დაღუპვის გზაზე სვლას, რომელსაც ის ადგია.

ჩვენ, ვიმეორებთ, იმდენი რამ დავკარგეთ ამ ომში, იმდენი სისხლი დავღვარეთ ამ უცხოელთა შეტაკებაში, რომ დღეს, როცა ყველამ უნდა მიიღოს თავის დანაკარგი და კიდევ მეტი,—ჩვენც უფლება გვაქვს ჩვენი სამართლიანი ხვედრი მოვითხოვოთ იმ უმაღლესი სამსჯავროსაგან, რომელიც მოწოდებულ იქნება დაჩაგრულ ერთა ბედ-იღბლის გადამწყვეტად“.

—

გაზეთ „ჰორიზონის“ (№ 206) მეთაურიც ეხება საზავო მოლაპარაკებას და „ვილსონის ცნობილ „13 მუხლოვან“ პირობებს“, რომელნიც „არ იძლევა რაიმე გადაჭრილ პასუხს, რომ შესაძლებელი იყოს მომავალი ზავის შინაარსისა და სახის გათვალისწინება“. გაზეთის აზრით ვილსონის პირობები შეიძლება შეიცვალოს, რადგან სამხედრო მოქმედება ჯერ კიდევ გრძელდება და რით გათავდება, ვინ იცის? „ზავის პირობები და თვით ზავი ჯერ კიდევ სავსებით ვერდენის მიდამოებში იმყოფება, ე. ი. ისინი ჯერ კიდევ მუშავდებიან და ყალიბდებიან დღევანდელი გაძლიერებული სამხედრო მოქმედების გავლენის ქვეშ“.

—

გაზეთი „მშაკში“ (№ 207) ექიმი ა. შიჰაბაზიანი ფრიად საყურადღებო წერილს უძღვნის სომეხ ლტოლვილთა მოვლა-პატრონობის საკითხს, რომელშიაც მწარე საყვედურით მიმართავს ტფილისის შეძლებულ სომხობას, რომ ის დახმარებას არ უწევს თავის უბედურ მოძმეებს და საჭიროდ მიაჩნია მდიდარ სომხობაზე საგანგებო გადასახადი გაიწეროს ლტოლვილთა სასარგებლოდ.

მოგვყავს წერილის ზოგიერთი ადგილი.

„...თუ ტფილისის სომხობას არ უნდა დაინახოს და გაიგოს ტფილისის გარეშე მომაკვდავ ლტოლვილების შესახებ, თუ ერევნის გუბერნია ასი ვერსით დაშორებულია ჩვენგან, თუ ბაკურიანის ხეობაში დღიურად ას-ასი კაცი კვდება, რომელთა სუსტი ხმა ჩვენ ყურამდე ვერ აღწევს, ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გაქვავებული გულით უნდა შევცქეროდეთ ჩვენს ირგვლივ მოხეტიალე ცოცხალ ლეშებს. სოლოლაკმა, ამ ქონებრივად უზრუნველყოფილ სომხობის ბუდემ, უარი უთხრა ერთ ლუკმა პურზე მის ცხვირის წინ არსებულ საჩაიეს (Вельяминовская), ხოლო საქართველოს და ქალაქის თვითმართველობა კი აწვდის სომეხ ლტოლვილს ფინჯან ჩაის. ამის გამო კბილის ექ. აპრილიანმა მიმართა გულ შემატკივარ სომხებს რომ გაიღონ თავისი წვლილი ლტოლვილთა სასარგებლოდ. კვლავ მოწოდებანი, კვლავ ფულის გროვება, კვლავ ლატარია და სხ.

კმარა ამ პალიატიურ საშუალებებისადმი მიმართვა, როცა შეწყალება, თანაგრძნობა, სინიდისის მხილება და მსგავსი ცნებანი აღარ არსებობენ. ომმა გადააგვარა ყოველივე ეს აზრი გაიხრწნა, გული დაჩლუნგდა, გრძნობა ჩაჰქრა და მიილულა, ყოველი ადამიანი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. ეგოიზმი უკიდურესობამდე განვითარდა... და ყველა ამის შემდეგ ჩვენ კიდევ ვცდილობთ ნებაყოფლობითი შემოწირულებით გავაუმჯობესოთ ლტოლვილთა ბედი. მხოლოდ სავალდებულო გადასახადს შეუძლია ლტოლვილთა აუტანელი ბედის გაუმჯობესება... ჩვენ კათეგორიულად ვსვამთ ამ საკითხს რომ აუცილებელია სავალდებულო გადასახადი ლტოლვილთა სასარგებლოდ, რომელიმე ოფიციალურმა და ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობის ნებართვით უნდა დააწესოს თაობრივი გადასახადი თუ გინდა მარტო ქალაქ ტფილისში, რომელსაც იხდის ყოველი სომეხი შემოსავლის კვალობაზე.

ასეთ ოფიციალურ და ავტორიტეტულ ორგანიზაცია ჩვენის აზრით არის საქართველოს სომხების ეროვნული საბჭო, რომელსაც ჩვენ მივმართავთ როგორც პრესის საშუალებით ისე კერძოდ... უნდა ვიჩქაროთ; ძალიან დავაგვიანეთ!

უპატრონო სასწავლებელი

სწორედ თელავის სასულიერო სასწავლებელზე ითქმის ძველი დროის სასულიერო უწყებაში რას წარმოადგენდა ეს სასწავლებელი, როცა შავრაზმელ ეგზარხოსებისაგან გათამამებულ უფროსებს ავიწყდებოდათ მოწაფეთა კეთილდღეობა და მარტო თავის სიამოვნებისთვისა ცდილობდნენ. ეს—კიდევ ცოტაა, იწვევდნენ თავიანთ ნათესავებს და სასწავლებლის ოთახებს საცხოვრებლად ჰკერძავდნენ. ამავე დროს-კი მოსწავლეთ სკოლის კედლებს გარედ სტოვებდნენ და ვითომ შენობის სივიწროვის გამო ნებას არ აძლევდნენ მეორედ დარჩომილიყო თუნდა ავადმყოფობის გამო შეგირდი, მაშინვე ითხოვდნენ.

დაჰბერა რუსეთის რევოლიუციის ქარიშხალმა საქართველომ მოიპოვა პოლიტიკური თავისუფლება და მოჰშორდნენ ამ სასწავლებელს ის პირნი. რომელნიც „ტორმოზად“ გაჰხდომოდნენ სასწავლებლის კეთილდღეობას.

მაგრამ ბედი არ სწყალობს თურმე ამ სასწავლებელს. ძველები თუ მოჰშორდნენ, სამაგიეროდ მას ახლები მოევლინა, რომელთაც თავისუფლება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს, დაიჭირეს სასწავლებლის შენობები და არას გზით აღარ უნდათ მისი განთავისუფლება ვითომ რამდენიმე თვით გადავიდნენ საზაფხულოდ, მაგრამ მეორე წელიწადი მიდის განცხრომით სცხოვრობენ და ჰსარგებლობენ მთელი ეზო-ყურეთი და სკოლის მოსამსახურეებით.

წინად რაც იყო იმას არ შევეხები, მაგრამ ეხლა, როცა დღევანდელ სიძვირის გამო, ბევრი მოწაფე იძულებულია სწავლას თავი დაანებოს, ბინის და სადგომის უქონლობის გამო. სიმართლე მოითხოვს სწორედ ეს ბინები, მოწაფეებს დაეთმოს, როგორც შარშან ტფ. სასულიერო სემინარიაში, რადგანაც ბინა რომ ექნებათ. სურსათს სახლიდან მოაწვდიან და გაუადვილდებათ ცხოვრება და ბევრს ხომ ამით შეძლება მიეცემა სწავლის გაგრძელებისა...

სწორედ ეს ღარიბი შეგირდები მოიყვანა უმთავრეს საბუთად ამ ზაფხულს საეპარქიო კრებამ რომ ეს სასწავლებელი გიმნაზიის არ დაუთმო და წინადადება მისცა იქ უკანონოდ ჩასახლებულ პირებს დაუყონებლივ გაეთავისუფლებინათ სასწავლებლის შენობა, მაგრამ კრება დაიშალა და ეს რაინდი მასწავლებლები დღესაც ალხეინად სცხოვრობენ სასწავლებლის შენობაში, მაშინ, როცა უბინაო მოწაფენი აქეთ-იქით საცოდავად დადიან...

ვინ უნდა ამოიღოს ხმა, როცა მოსწავლეთა არა ჰყავთ გულშემატკივარი არა თუ ამათ, თვით საწავლებელიც უპატრონოდ არის მიტოვებული, ეხლაც არაა გამორკვეული, რომლის უწყებაშია, სასულიერო თუ განათლების სამინისტროსი. არა ჰყავს არც ზედამხედველი, არც მისი თანაშემწე.

საჭიროა, ვინც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ მართლა და უპატრონოდ დატოვებულ სასწავლებელს.

ლ. გ—ძე.

სოფლის კომისრების ცხოვრებიდან

რუსეთის სახელმწიფოში თუ რამე სწარმოებდა შაბლონიურის წესით უპირველესად სოფლის ადმინისტრაცია. სამწუხაროდ, ეს შაბლონივეა საქართველოს რესპუბლიკაშიაც, როგორც ვიცით. სოფლად მუშაობს სოფლის კომისარი და რაიონის კომისარი. ამ ორთა თანამდებობა და უფლებანი კანონით სრულიად გამოურკვეველია. ამისათვის ამათ უფლებას დავალდებულობას, ყველა თავისებურად ხსნის ამისი მიზეზია ის, რომ რაც სავალდებულოდ მიაჩნია უწყებული პირებისთვის ერთს უფროსს, ის მეორეს სულ წინააღმდეგ ესმის. თუ ასეა ხელმძღვანელ პირებში, მით უმეტეს უწყებული კომისრების კანცელარიაში. კარგად ვიცით, თუ, საერთოდ რა მომზადების კომისრები გვყავს ორივე რიგში. ამათი შეუფერებლობის გამო ამათი კანცელარიებას ბედს ათამაშებენ ამათი მწერლები. რაიონის კომისრის მწერალი მოინდომებს თავის სასარგოდ და ამა იმ საქმის, ან ქაღალდის შესრულება ეკისრება სოფ. კომისარს. გათავდა და მორჩა. ბრძანა უფროსმა, უნდა აასრულოს უმცროსმა, ასე რომ სრული ხელმძღვანელი, პატრონ-ბატონი სოფლის კომისრისა შეიძლება გამოვიდეს რაიონის კომისარი და ამ პირობაში თავისი მცირე (შედარებით) ტვირთიც წამოჰკიდოს სოფ. კომისარს. აი, აქა მარხია ძაღლის თავი და ეს გარემოება სრულიად დააშორებს ისეც დაშორებულს ინტელიგენტურს ძალას სოფლის კანცელარიას, რასაც მოჰყვება, მეუფება ჩვეულებრივი „მოსე მწერლებისა“ კომისრების სახელით.

ამას წინად „სახალხო საქმეში“ ვილამაც აღნიშნა ამ კითხვის განმარტების აუცილებელი საჭიროება. მაგრამ პასუხი, სამწუხაროდ, ჯერაც არ არის. საჭიროა მისი დაჩქარება.

სხვათა შორის *) დღეს ალაგი აქვს ასეთს სურათებს—რომ მილიციონერებს ესარგებლად სოფლის ცხენებით, რასაკვირველია, სოფ. კომისრის უნებადაურთველად, ან კიდევ ბეგარაზე გაყვანილ ცხენებს უნაგირი ან სხვა ნაწილი უკან აღარა ჰყვება და სხვ... საჭიროა ყველა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება, თორემ ჩვენს ნორჩს სახელმწიფოში შესაძლოა ბევრი იყოს მოსურნე, მხოლოდ ძალიან ნაკლები მოწოდებული ..

მ. ქსნელი.

გადასახლების საქმე

ტფილისში დაარსდა „ქართველ უმიწაწყლო გლეხთა გადმომსახლებელი კომიტეტი“. კომიტეტის მიზანს შეადგენს, გადმოასახლოს საქართველოს იმ კუთხეებიდან ხალხი, სადაც მიწის დიდი სივიწროვეა და ჩაასახლოს, იქ, სადაც თავისუფალი მიწებია, როგორც მემაიულეებისგან ჩამორთმეულ ისე სახელმწიფოში.

კომიტეტმა უკვე გადასდგა ნაბიჯი და ერთი კვირის განმავლობაში ორასამდე კაცს მოუყარა თავი, რომელთაც ჰსურთ გადასახლება

გაგზავნილ იქმნა კომისია ყარაიაზში, სადაც 22 ათასი დესეტინა მიწებია. ამ კომისიას ძალიან მოეწონა ეს ადგილები და კომიტეტი შეუდგა მსურველთა იქ ჩასახლების მოწყობას.

კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ყველა ის პირები, ვინც 15-ში მომხდარ კრებაზე ჩაეწერნენ, უნდა მოვიდნენ დამატებით ცნობების მისაღებად. აგრედვე ვისაც სურს ყარაიაზში ჩასახლება ან გადასახლების პირობის გაგება უნდა მიმართონ კომიტეტის წევრებს: წერილობით—კომიტეტის თავმჯდომარეს, ზაქარია ბიჭიაშვილს (მიწათმოქმედების სამინისტროში, წყალთა სამმართველო.) პირადად, დამატებითი ცნობების მისაღებად და ჩასაწერად—კომიტეტის მდივანს (სასახლე ოთახი № 10) გერონტი კილოსანიას. კომიტეტის წევრს მიხა სამარგულიანს, (პეტრე დიდის ქუჩა № 18, პროფესიონალური კავშირი, ოთახი 13), და კომიტეტის მეორე წევრს გიგო ბასილაშვილს (ადელხანოვის ქარხნის მუშათა პროფ. კავშირის კანტორაში ნავთლუღში)

ქართველ უმიწაწყლო გლეხთა გადმომსახლებელი კომიტეტი.

ამხ. პ. პატარაიას ხსოვნას

კვლავ მოგვაკლდა ერთი ამხანაგი. მართალია, იგი არ იყო ისე გამოჩენილი, რომ მის შესახებ შეიძლებოდეს ქება-დიდებით ლაპარაკი, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა ის, რომ იგი მომავალში შეიქმნებოდა ფრიად სასარგებლო და საიმედო მუშაკი.

ამხ. პეტრე (პეტია), ეროვნულ სიყვარულის ცეცხლით აღგზნებული ადამიანი იყო, რაც მან დაამტკიცა ჯერ კიდევ ტრაპიზონში. როგორც ს.-ფედერალისტი ს. ხეთაში ბოლშევიკების შემოსევის დროს შეძლებისამებრ დახმარებას აძლევდა იქაურ რაზმს და იმან სხვა დროსაც ყოველთვის დაუზარებლად მონაწილეობას იღებდა სოფელში მომხდარ გაპირვებების ჩანელება-ჩაქრობაში.

ამასთან ის ცდილობდა კულტურულ გზითაც მოეტანა სარგებლობა ხალხისთვის და აი როცა ს. ხეთაში დაარსდა „ახ. სც. მოყ. წრე“ ამხ. პეტრე გულმოდგინედ შეუდგა მუშაობას და მალე შეიქნა საუკეთესო ძალა წრეში. ყველას ხიბლავდა მისი თამაში კომიკურ როლებში, რომელსაც ისე დახელოვნებურად და ნიჭიერად ასრულებდა, რომ ხალხი მუდამ აღტაცებაში მოჰყავდა. რათა უფრო გამოდგომოდა სამშობლოს, არ დაჯერდა თავის ცოდნას და მოისურვა სწავლის განგრძობა. ამ მიზეზით ჩამოვიდა დედა-ქალაქში, სადაც უნდა შესდგომოდა სწავლას. მაგრამ უცბად გახდა ავად. და გარდაიცვალა სრულიად ახალგაზდა, ცხოვრების გზის დასაწყისზე! ვერ გადალახა ჭაბუკობის ჰასაკობა, გაშორდა ამ წუთისოფელს თავის ნორჩი, მაგრამ წმინდა აზრებით...

მშვიდობით ამხანაგო! ხსოვნა შენი, როგორც საუკეთესო ამხანაგისა შენს ნაცნობებ და ამხანაგებ შორის წარუშლელი იქნება.

ვ. ნ ია.

---

*) ახალგორის საზოგადოებაში (დუშეთის მაზრა)

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი მრევლიშვილი მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

ექიმი მ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლულობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიბე ტელ. 104. 2040

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. ბ. მეჰრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლიონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლევენშტეინისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 35, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

ექიმი ნ. ლ. [illegible] (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და სალ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი ლ. ა. ხარაღიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ი. ი. ხერიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დიდ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნილს“ პირდაპირ № 34. 301

ექიმი ი. ქ. აბაძელია შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დოხნინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

კერძო სამკურნალო
ექ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის
სპეციალისტ ექიმებისა

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე.

ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და სალ. 5—6 ს.

ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.

გ. მ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.

სმ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.

სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.

მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ევზაროსის მოედანთან.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2019

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა

ბ. მ. აგასაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ბ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ბ. გ. ავეტისიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.

ა. ნ. იხაკიანი: 6—7½. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.